საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020105444791117

№ 63-ს **22 / ნოემბერი / 2017 წ.**

სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 5000 ლარის ფარგლებში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„გრანტების შესახებ საქართველოს კანონის", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის N1554 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის № 1-1/282 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის № 1/66 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 5000 ლარის ფარგლებში გრანტის გაცემის წესი“ დანართებთან (სააპლიკაციო ფორმები, გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის ფორმები) ერთად.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2014 წლის 01 დეკემბრის #47 ბრძანებით დამტკიცებული „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროტოტიპების შესაქმნელად, პროტოტიპების ტესტირებისათვის, ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და საქართველოში ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებისთვის სახელმწიფო გრანტების გაცემის წესი.“
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

თავმჯდომარე გიორგი ზვიადაძე

„სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ
5000 ლარის ფარგლებში გრანტის გაცემის წესი“

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, 5000 ლარის ფარგლებში გრანტების (შემდგომში - მცირე გრანტი) გაცემის პირობებს და პროცედურებს.
2. მცირე გრანტი არის მიზნობრივი დაფინანსების მექანიზმი და მისი მიზანია, პროტოტიპის შექმნის ან/და ტესტირების გზით ხელი შეუწყოს ახალი ტექნოლოგიის დანერგვას ან არსებული ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და კომერციალიზაციას, ასევე გააძლიეროს ადგილობრივი ინოვაციური და/ან ტექნოლოგიური პოტენციალი, ხელი შეუწყოს ინოვაციებით და ტექნოლოგიებით დაინტერესებული სუბიექტების საერთაშორისო ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრაციას და მათი კომერციული პოტენციალის გაზრდას.
3. მცირე გრანტი შეიძლება გაიცეს:
   ა) ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით პროტოტიპების შექმნის/არსებული პროტოტიპის ტესტირების დასაფინანსებლად;
   ბ) ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დასაფინანსებლად;
   გ) საქართველოში ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების დასაფინანსებლად.
4. მცირე გრანტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;
5. საგრანტო დაფინანსების ადმინისტრირებას, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევას და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.
6. მცირე გრანტის მიმღები შეიძლება იყო „გრანტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები.

მუხლი 2. მცირე გრანტი ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით პროტოტიპების შექმნის/არსებული პროტოტიპის ტესტირების დასაფინანსებლად

1. ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით პროტოტიპის შექმნის ან/და ტესტირების დასაფინანსებლად მცირე გრანტის მიზანია დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომლის საგანია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპის შექმნა, მისი გამოცდა, დახვეწა ან/და გაუმჯობესება, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ან არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და მისი ადგილობრივ ან/და გლობალურ ბაზარზე გატანა.
2. ამ წესის მიზნებისთვის, პროტოტიპი არის პროდუქტის ადრეული, პირველადი ან/და წინასწარი ნიმუში, რომელიც შექმნილია პროდუქტის კონცეფციის გამოსაცდელად და გამოცდის შედეგების შესასწავლად. პროტოტიპირება პროდუქტის განვითარების პროცესის ნაწილია და მისი მიზანია სამომავლო პროდუქტის დახვეწა კომერციალიზაციის მიზნით, რაც მის შემქმნელს საშუალებას მისცემს დარწმუნდეს პროდუქტის ფუნქციურ შესაძლებლობებში.

3. ამ წესის მიზნებისთვის, მცირე გრანტი პროტოტიპების ტესტირებისთვის, შეიძლება გაიცეს, როგორც სააგენტოს დაფინანსებით შექმნილი, ასევე სხვა წყაროებით დაფინანსებული პროტოტიპების ტესტირებისათვის. ტესტირება გულისხმობს პროტოტიპის გამოცდას სხვადასხვა პირობებში და ფუნქციონირების პროცესში, ხარისხის, მონაცემთა სიზუსტისა და მახასიათებლების შესამოწმებლად.

მუხლი 3. მცირე გრანტი ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად

1. ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად მცირე გრანტის (შემდგომში „სამგზავრო გრანტი“) მიზანია დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომელიც ეხება ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით დაინტერესებული პირის მონაწილეობას საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი ინოვაციური და/ან ტექნოლოგიური პოტენციალი და ხელი შეუწყოს საქართველოს სამეწარმეო პოტენციალის გაზრდას საერთაშორისო ასპარეზზე და საქართველოს საერთაშორისო ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრაციას.
2. სამგზავრო გრანტი გაიცემა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად:

ა) კონფერენცია;
ბ) კონგრესი;
გ) ფორუმი;
დ) სიმპოზიუმი;
ე) სამუშაო შეხვედრა;
ვ) კონკურსი;
ზ) ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიება (ჰაკათონი, მეიქათონი, კრეათონი და ა.შ.)
თ) სემინარი-ტრეინინგი;
ი) დარგობრივი გამოფენა.

მუხლი 4. მცირე გრანტი საქართველოში ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებისთვის

1. საქართველოში ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებისთვის მცირე გრანტის მიზანია დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომელიც ეხება ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით დაინტერესებულ პირთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, რასაც შედეგად მოაქვს მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება, ასევე ადგილობრივი ინოვაციური და/ან ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარება.
2. ინოვაციების ხელშემწყობ ღონისძიებაში მოიაზრება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ნებისმიერი სახის სამუშაო შეხვედრა, რომელიც გაიმართება საქართველოში და რომელშიც მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ დაინტერესებულ პირებს.

მუხლი 5. საგრანტო დაფინანსების პირობები

1. საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია წლის ნებისმიერი დროის მონაკვეთში. განმცხადებელი სააგენტოში წარადგენს შესაბამის განაცხადს და დოკუმენტაციის ნუსხას, რომელიც განსაზღვრულია ამ ბრძანების მე-11 მუხლით.
2. საგრანტო განაცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას განაცხადების დაფინანსების შესახებ და დაფინანსებული პროექტების სიას აქვეყნებს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და მცირე საგრანტო პროგრამის ვებ-პორტალზე. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია ამ პუნქტით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, სააგენტოს თავმჯდომარე ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.
3. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელის ერთი ან რამდენიმე საგრანტო პროექტისათვის გაცემული გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. ამ პუნქტის მიზნებისათვის გრანტის ოდენობაში იგულისხმება სააგენტოს მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში გრანტის მიმღებზე გაცემული დაფინანსება და არ მოიცავს გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტოსთვის დაბრუნებულ თანხებს.

4. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელი სხვადასხვა პროექტისათვის საერთო ოდენობით 5000 ლარამდე დაფინანსებას მიიღებს იმ შემთხვევაში თუ კომისიის წინაშე გასაუბრებამდე, წინა დაფინანსებული საგრანტო პროექტი იქნება დასრულებული.
5. კონკრეტული პროექტისთვის გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს, რომელიც გრანტის მიმღების მიერ ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც თანადაფინანსების წყარო. სააგენტო გრანტის მიმღებს ავანსის სახით ურიცხავს პროექტის ბიუჯეტით დამტკიცებული თანხის 90 პროცენტს. დარჩენილი 10 პროცენტის გადარიცხვა მოხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშების შემოწმების შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
6. გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო დაფინანსებაზე ამ წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახსნას სპეციალური საბანკო ანგარიში, რომელზეც სააგენტო ჩარიცხავს გრანტის თანხას. გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის თანხა გამოიყენოს მიზნობრივად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. იგი არ არის უფლებამოსილი აღნიშნული ანგარიშით აწარმოოს გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგრანტო პროექტთან, ან აღნიშნულ ანგარიშზე მიიღოს (ჩარიცხოს) სხვა თანხები. ეს პუნქტი არ ვრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, რომლებსაც კანონმდებლობით ევალებათ ფინანსური ოპერაციების განხორციელება სახაზინო ანგარიშის მეშვეობით.
7. საგრანტო პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, რომელიც პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 3 თვის ვადით.
8. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ფინანსური და პროგრამული ანგარიში.

მუხლი 6. გრანტის განკარგვა

1. ამ წესის მე-2 და მე-4 მუხლით გათვალისწინებული მცირე გრანტის შემთხვევაში გრანტის მიმღები უფლებამოსილია სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული თანხა გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნობრიობით:

ა) საქონელი და მომსახურება - პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურება;

ბ) არაფინანსური აქტივები - ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოყენებადი აქტივი (გარდა უძრავი ქონებისა), რომლის ღირებულებაც შეადგენს მინიმუმ 500 ლარს და მეტს;

გ) ზედნადები ხარჯები - გრანტის მიმღები ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევი ხარჯები (კომუნალური გადასახდელები, საბანკო მომსახურების ხარჯი, ტექნიკური და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯი, გრანტით შეძენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირებისა და გრანტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის აუცილებელი შრომითი დანახარჯები)

2. ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მცირე გრანტის შემთხვევაში, გრანტის მიმღები უფლებამოსილია სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული თანხა გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნობრიობით:

ა) საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის სარეგისტრაციო მოსაკრებელის საფასურის გადასახდელად;

ბ) ტრანსპორტით ორმხრივი მგზავრობის ბილეთის შესაძენად;

გ) სამოგზაურო დაზღვევის შესაძენად;

დ) სავიზო მოსაკრებელის საფასურის გადასახდელად;

ე) საცხოვრებელი ფართობის დაქირავების საფასურის გადასახდელად.

3. ამ მუხლის მე-**2** პუნქტის ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანება მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

მუხლი 7. საგრანტო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. სააგენტო საგრანტო დაფინანსების შესახებ ინფორმაციას ათავსებს ვებ პორტალზე, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას მცირე გრანტების შესახებ მათ შორის სააგენტოს მიზნებს და ხედვას 5000 ლარის ფარგლებში მცირე გრანტების პროგრამის მიმართულებით;

ბ) მცირე საგრანტო დაფინანსებაში მონაწილეობის მიღების გზამკვლევს/ინსტრუქციებს;

გ) დაფინანსების მიმღებ პირთა შერჩევის კრიტერიუმებს;

დ) გრანტის სახით მიღებული თანხებისა და საგრანტო პროექტის განხორციელებაზე სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მონიტორინგის წესს.

მუხლი 8. საგრანტო დაფინანსებაში მონაწილეობა

1. საგრანტო დაფინანსებაში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელმა/საგრანტო პროექტის ავტორმა) საგრანტო განაცხადი/პროექტი უნდა დაარეგისტრიროს ვებპორტალზე. დაინტერესებული პირი, ასევე უფლებამოსილია ხელმოწერილი საგრანტო განაცხადი/პროექტი სააგენტოში წარადგინოს ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით ქართულ ენაზე,
2. სააგენტო საგრანტო პროექტს ანიჭებს შესაბამის სარეგისტრაციო ნომერს, რომელსაც აცნობებს დარეგისტრირებულ განმცხადებელს ელ-ფოსტაზე, მცირე გრანტების ვებპორტალის მეშვეობით ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.
3. რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სააგენტო ამოწმებს რეგისტრირებული პროექტების ფორმალურ გამართულობას;
4. ფორმალური გამართულობა გულისხმობს:
   ა) საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია ამ წესის #2 დანართში წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმით;
   ბ) სააპლიკაციო ფორმის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
   გ) სააპლიკაციო ფორმა ხელმოწერილია განმცხადებლის მიერ;
   დ) სააპლიკაციო ფორმას ერთვის მასში მითითებული დანართები;
5. იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირებული პროექტი არ არის ფორმალურად გამართული სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს 3 დღიან ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საგრანტო განაცხადი არ გადის დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შემდეგ ეტაპზე.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა აითვლება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორების დღიდან.

მუხლი 9. დასაფინანსებელი საგრანტო პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღება

1. პროექტების მცირე საგრანტო დაფინანსების პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, განმცხადებელთან ზეპირი გასაუბრების საფუძველზე, პროექტებს აფასებს და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მცირე საგრანტო დაფინანსების კომისია, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
2. კომისია შედგება 11 წევრისგან. აქედან, 9 მუდმივი, ხოლო 2 საგანგებო წევრისგან/ მოწვეული ექსპერტისგან. კომისიის წევრებს ბრძანებით ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე; კომისიას ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე;
3. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანი, თუკი წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი.
4. დაფინანსების მოპოვებისთვის აუცილებელი პირობაა:

   ა) კომისიის დამსწრე მუდმივი წევრის მიერ საგრანტო პროექტის, კატეგორიის შესაბამისად, დადებითი შეფასება მე-10 მუხლის პირველი, მეორე ან მესამე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებში; და

ბ) კომისიის დამსწრე წევრთა სულ მცირე სამი დადებითი შეფასება, საგრანტო განაცხადის კატეგორიის მიხედვით, მე-10 მუხლის პირველი, მეორე ან მესამე პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებში;

5. კომისიის მიერ კონკრეტული პროექტის საგრანტო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ვადაში.
6. ამოღებულია (15.12.2017);
7. სააგენტო არ არის უფლებამოსილი დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაფინანსების მოპოვების მიზნით სააგენტოს განზრახ შეცდომაში შეყვანას და შეიცავს ყალბ ან არაზუსტ ფაქტებს.
8. კომისიის მიერ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტო არ არის უფლებამოსილი ასეთი პროექტის ავტორთან დადოს ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ ასეთი ფაქტების გამოვლენა, არის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, რა დროსაც, გრანტის მიმღები ვალდებულია დააბრუნოს საგრანტო დაფინანსების ფარგლებში სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული თანხა.

მუხლი 10. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მცირე გრანტის საგრანტო პროექტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
ა) პროექტის ინოვაციურობა;
ბ) პროექტის კომერციალიზაციის პოტენციალი;
გ) პროტოტიპის გამართული გეგმა/ნახაზი;
დ) საგრანტო პროექტის გამართული სამოქმედო გეგმა;
ე) საგრანტო პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება;
ვ)საგრანტო პროექტის განმახორციელებელი ინდივიდის/გუნდის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია

2. ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მცირე გრანტის საპროექტო განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
ა) ინოვაციური ან/და ტექნოლოგიური ელემენტი;
ბ) ღონისძიების მასშტაბურობა და მნიშვნელოვნობა;
გ) ღონისძიების შედეგად მიღებული პოტენციური სარგებელი;
დ) სტარტაპის წარმატების პერსპექტივა;
ე) ინდივიდის/გუნდის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია;
ვ) საგრანტო პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება

3. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მცირე გრანტის საპროექტო განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
ა)ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების სფეროში ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარება;
ბ)ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების სფეროში ადგილობრივი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;

გ) მედია დაფარვის პოტენციალი;
დ) გამართული სამოქმედო გეგმა;
ე) ინდივიდის/გუნდის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია;
ვ) საგრანტო პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება

4. პროექტის დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარი შესახებ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თითოეული წევრი.

5. იმ პირებთან, რომელთა დაფინანსების შესახებ დადგენილებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სააგენტო კომისიის სხდომის ოქმის შედგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს, რომლითაც განისაზღვრება სააგენტოსა და დაფინანსებულ პირთან შორის ურთიერთობები.

მუხლი 11. საპროექტო განაცხადის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
ბ) პროექტის ბიუჯეტი (შევსებული ექსელის ფორმატში, ხარჯვის დასაბუთებით);
გ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შევსებული ექსელის ფორმატში);
დ) განმცხადებლის და პროექტის მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადი რეზიუმე(ები) (cv);
ვ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი);

2. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია კონკურსის შეფასების ეტაპზე მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა განმცხადებლის მხრიდან.

მუხლი 12. დაფინანსებულ საგრანტო პროექტში ცვლილებების შეტანა

1. დაფინანსებული საგრანტო პროექტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა გრანტის მიმღების მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება პროექტის ვადის გასვლის შემდეგ.

2. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი გრანტის მიმღებისათვის ცვლილების საჭიროება.

3. სააგენტო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან/და წარმოდგენილია არასაპატიო დაგვიანებით. ასეთ შემთხვევაში, თუკი გრანტის მიმღები პროექტის ვადის ამოწურვამდე არ დაასრულებს პროექტს, დადგება პროექტის შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული შედეგები.

4. საგრანტო პროექტში ცვლილებების შესახებ გრანტის მიმღების მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო დაფინანსებული საგრანტო

პროექტის ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დასრულებამდე იღებს გადაწყვეტილებას პროექტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ

მუხლი 13. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. სააგენტო პროექტის დასრულების შემდგომ ახორციელებს დაფინანსებული პროექტების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის შემოწმებას ანგარიშის დადგენილი ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.
3. სააგენტოს მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
   ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვის კატეგორიას;
   ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება - საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი, ასევე ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და პროექტის დასრულების შემდგომ გაწეული ხარჯი. არამიზნობრივი ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას.
   გ) ნაშთად ჩაითვლება - საანგარიშო პერიოდის ბოლოს აუთვისებელი რესურსი, რომელიც უნდა დაბრუნდეს ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.
4. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიშის შემოწმებას და შეფასებას, ასევე შესაბამისი განხილვის აქტის შედგენას.
5. გრანტის მიმღების მიერ წარდგენილ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშზე სააგენტო ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

მუხლი 14. ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კომისიის სხდომის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა კომისიის სხდომასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იმ შემთხვევაში თუ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კომისიის წევრი და განმცხადებელი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.

2. ამ ბრძანების მიზნებისათვის ურთიერთდაკავშირებულ პირებად ითვლებიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საგრანტო დაფინანსებაზე, მათ შორის ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) კომისიის წევრი და განმცხადებელი არიან ერთი საწარმოს პარტნიორები.

ბ) კომისიის წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოში ან კომისიის წევრი ახორციელებს საწარმოს კონტროლს (განმცხადებელი იურიდიული პირის შემთხვევაში);

დ) კომისიის წევრი/განმცხადებელი თანამდებობრივად ექვემდებარება განმცხადებელს/კომისიის წევრს;

ე) კომისიის წევრი და განმცხადებელი ნათესავები არიან ;

ი) კომისიის წევრი და განმცხადებელი არარეგისტრირებული კავშირის/ ამხანაგობის წევრები არიან.

3. ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:

ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;

ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა.

გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ასევე ნათესავების პირველ და მეორე შტოსთან მუდმივად მცხოვრები პირები;

2. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას მიუხედავად კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობა წარმოადგენს იმ საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს, რომელთან მიმართებითაც კომისიის წევრს გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი.